



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 257/ს
16/08/2022

257-21-4-202208161201



**ქ. თბილისში, შპს „Lion“-ის 9300 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის
ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის
შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „Lion“-ის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში, 9300 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გუკას“ მიერ.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გაიცა №44 (22.12.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ გაცემული ნებართვა გადაეცა შპს „ციტადელს“. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2020 წლის 12 თებერვალს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-125 ბრძანება „შპს „ციტადელის“ ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, მინისტრის N2-230 ბრძანებით შპს „ციტადელის“ ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „Lion“-ს.

2021 წლის 16 თებერვალს შპს „Lion“-ის მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო ქ. თბილისში, 9300 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის

ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N18, 12.04.2021; სკოპინგის ბრძანება N2-490, 22.04.2021).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი მდებარეობს ქ. თბილისში რკინიგზის სადგური ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ციტადელის“ საკუთრებაში არსებულ (15154 მ² ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.15.005.116), რომელიც შპს „Lion“-ს აღებული აქვს იჯარის ხელშეკრულებით. ნავთობპროდუქტების საცავის სარეზერვუარო პარკიდან დასახლებულ პუნქტამდე მანძილი შეადგენს 109 მ-ს, ხოლო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი დაახლოებით 175 მეტრია.

ობიექტი მუშაობს წელიწადში 365 დღე, საიდანაც ადმინისტრაციის თანამშრომლები მუშაობენ წელიწადში 280 დღე (დღეში 8 საათი), ხოლო საწვავის მიმღებ-გამცემი ტექნიკური თანამშრომლები - 320 დღე (8 საათიანი სამუშაო გრაფიკით).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 2016 წელს შპს „ციტადელის“ ობიექტზე არსებული საწვავის 60 მ³ ტევადობის ჰორიზონტალური მიწისზედა რეზერვუარები (15 ერთეული, ადრე გამოუყენებელი) აღარ ფუნქციონირებს. ამის შემდეგ საწარმო მთელი ინფრასტრუქტურით იჯარით სარგებლობაში გადაეცა შპს „Lion“-ს. შპს „Lion“-ი ვერტიკალურ სარეზერვუარო პარკს აქამდე იყენებდა მცირე დატვირთვით (ორი 400 და ერთი 1000 მ³ მოცულობის) ბენზინის და დიზელის საწვავის მიღება-შენახვა-გაცემის მიზნით (საშუალოდ 10-15 მილიონი ლიტრი წელიწადში). ამჟამად შპს „Lion“ გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის წლიური ბრუნვის გაზრდას.

შპს „Lion“-ის არსებული ნავთობპროდუქტების საცავი შედგება: ოთხი 400 მ³ მოცულობის (ორი ბენზინის და ორი დიზელის), ხუთი 1000 მ³ მოცულობის (ოთხი ბენზინის და ერთი დიზელის) და ერთი 2000 მ³ მოცულობის (დიზელის) მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარისგან. საწვავის სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა შეადგენს 8600 მ³ - ს, აქედან ბენზინის რეზერვუარების 4800 მ³, ხოლო დიზელის რეზერვუარების 3800 მ³.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „Lion“-ის მიერ დაგეგმილია ნავთობპროდუქტების წლიური ბრუნვის გაზრდა, კერძოდ წელიწადში 100 მლნ ლიტრამდე ბენზინის (73 ათასი ტონა) და 100 მლნ ლიტრამდე დიზელის (80 ათასი ტონა) ბრუნვა, ჯამში წელიწადში 200 მლნ ლიტრი (153 ათასი ტონა) ნავთობპროდუქტების ბრუნვა. ამასთან, შპს „Lion“ გეგმავს ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის გადაკეთებას (სალექარის გავლის შემდეგ სრულიად გაიწმინდება თანამედროვე FSN-3 ფილტრ-სეპარატორით და გადავა საკანალიზაციო ქსელში), სანიაღვრე წყლების შესაგროვებელი ვარცლის, წყალშემკრებ-გამტარი არხის და ჭების განახლებას; სანიაღვრე წყლების შემკრები ჭების და ჩასაშვები არხების მოწესრიგებას; ხანძარსაწინააღმდეგო კომპლექსის (ტუმბოები, ქაფწარმომქმნელები, გამაგრილებელი მილმდენები) გაუმჯობესებას; რკინიგზის

ესტაკადის რეკონსტრუქციას; შიდა გზების და მოედნების შეკეთებას, ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოების რემონტს; სარეზერვუარო პარკის ზვინულების შეკეთებას; რეზერვუარებში საწვავის ჩასხმის, გასაცემი მილმდენების და მექანიკური გამწმენდი ფილტრების დარეგულირებას (საწვავის მიმღები-გამცემი ტუმბოების შეკეთება-შეცვლას). ასევე დაგეგმილია ქსელში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების ნარჩენების შეგროვება და შემდგომში შესაბამისი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოებისთვის გადაცემა.

საწარმოო ტერიტორია პირობითად დაყოფილია საწარმოო და ადმინისტრაციულ უბნებად. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რკინიგზის ჩიხში შემოსულ ვაგონციტერნებს მიერთებულია ქვედა დაცლის სისტემის ჰერმეტიკულსაკეტიანი ხუფი, რომელიც ელასტიური მილმდენით შეერთებულია რეზერვუარებში საწვავის მისაღები მილმდენის სისტემასთან და სატუმბ სადგურთან. რეზერვუარებში ბენზინის და დიზელის საწვავის ქვედა ჩატუმბვა ხდება 3 ტუმბოს მეშვეობით, თითოეული 360 მ³/სთ სიმძლავრის (1-დიზელის, 1-ბენზინის, 1-სათადარიგო). დიზელისა და ბენზინის საწვავის ავტოციტერნებში გასაცემი ტუმბოები 60 მ³ სიმძლავრისაა (9 ცალი ტუმბო: 4 დიზელის, 4 ბენზინის, 1 სათადარიგო). ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ურთიერთკავშირშია და ურდულების საშუალებით შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს შემდეგი ტექნოლოგიური ოპერაციები: რკინიგზის ვაგონციტერნიდან ბენზინ-დიზელის საწვავის მიღება და მათი გადატუმბვა რეზერვუარში საწვავის ქვედა მიღების მილმდენებით; რეზერვუარებიდან საწვავის ავტოციტერნებში გადატუმბვა. საწვავის მიმღები და გასაცემი სისტემები აღჭურვილია მექანიკური ფილტრებით. ძირითადად გამოიყენება ელექტროძრავიანი ტუმბოები, დამზადებული სპეციალურად ნავთობპროდუქტების გადასატუმბად, ფეთქებადუსაფრთხო შესრულებით. სარკინიგზო ვაგონციტერნა 60 მ³ ტევადობისაა, ერთდროულად შესაძლებელია თითო სახეობის ვაგონციტერნის დაცლა (ერთდროულად სხვადასხვა საწვავიანი 3 ვაგონციტერნიდან).

ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ძირითადად შესრულებულია მიწისზედა გადაწყვეტით, რკინაბეტონის დაბალ საყრდენებზე, ხოლო ზოგ ადგილზე მილგაყვანილობა შესრულებულია მიწისქვეშა გადაწყვეტით. მიწისქვეშა მილგაყვანილობა გადის უფრო დიდი დიამეტრის მილებში.

ავტოციტერნებში საწვავის ჩატვირთვა ხდება ზედა ჩასხმის მოწყობილობით აღჭურვილი ესტაკადებიდან. ზედა ჩასხმის მოწყობილობა ACH-100A განკუთვნილია ავტოციტერნებში ფსკერამდე (არავარდნითი ჩასხმა 60%-ით გაფრქვევის შემცირებით) ჩასხმის დისტანციური მართვისთვის. სისტემა იძლევა ჩასხმის პროცესის მართვისა და მისი ავტომატური ამორთვის საშუალებას: გასაცემი დოზის რაოდენობის მიღწევისას; დასაშვები ზღვრის რაოდენობის მიღწევისას ავტოციტერნში; ხარჯმომომში ნაკადის შეწყვეტიდან 20 წმ-ის შემდეგ; ავტოციტერნის დამიწების დარღვევისას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად საწვავის მიმღებ სადგურებში და გასაცემ ესტაკადებზე ბენზინის და დიზელის მიმღები ტუმბოები წელიწადში იმუშავებს 278 საათს, ხოლო საწვავის ავტოციტერნებში ბენზინის და დიზელის გასაცემი ტუმბოები - 1667 სთ/წელ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში საწვავის მიწოდებისთვის ძირითადად გამოიყენება სარკინიგზო ქსელი. დოკუმენტაციის მიხედვით, ვაგონცისტერნების შემოსვლის შესახებ საწარმო რამდენიმე საათით ადრე ინფორმირდება და ემზადება ვაგონცისტერნების სწრაფად დაცლისათვის. ხოლო საწარმოდან საწვავის გაცემის გეგმა-გრაფიკი განპირობებულია ავტოცისტერნების სიმძლავრესა (მოცულობები - 10 მ³-დან 40 მ³-მდე) და თბილისსა და მის შემოგარენში საწვავის მისაწოდებელ ობიექტებზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის წყალმომარაგების სისტემა დაკავშირებულია ქ. თბილისის წყალსადენის ქსელთან. წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო (ტექნოლოგიური მოედნების მოსარეცხად, საწარმოო უბნების დასუფთავების და მწვანე ნარგავების მორწყვისათვის) და სახანძრო დანიშნულებით. სულ ობიექტის ფუნქციონირებისთვის წლის განმავლობაში საჭიროა 408 მ³ წყალი. ტერიტორიაზე მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ერთი რეზერვუარი და ერთი ავზი, ჯამური მოცულობით 600 მ³. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო (ტექნოლოგიური მოედნების ნარეცხი წყლები) და სანიაღვრე წყლები. ობიექტზე წარმოქმნილი საწარმოო და სანიაღვრე წყლები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურების რისკის შემცველი) მიმღები ჭებიტა და არხებით ჩადის ქვიშის სალექარში, სალექარიდან (ზომები 3,5x3x2=21 მ³) გადადის ფილტრ-სეპარატორში და შემდეგ ქალაქის საკანალიზაციო ქსელში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამეურნეო-ფეკალური წყლები ასევე ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი კონტეინერები, რომლის გატანა განხორციელდება ქალაქის შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მეტალური ნარჩენები (ჯართი) - სატუმბი, მილმდენი და სხვა საშუალებები გადაეცემა სარემონტო საწარმოებს სარემონტო-შესაკეთებელი დანიშნულებით. რეზინის, პლასტმასის და აზბესტშემცველი ნარჩენები არ წარმოიქმნება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნავთობპროდუქტების ნარჩენების წარმოქმნას ადგილი აქვს სამ წელიწადში ერთხელ რეზერვუარების დასუფთავების შედეგად. შესაბამისად, რეზერვუარებში დალექილი (0.2 მეტრ სიმაღლეზე) ნავთობპროდუქტის ნარჩენები გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციას. გარდა ამისა, სატრანსპორტო და ინდუსტრიული ზეთების ნარჩენები, საპოხი მასალები, ასევე ქვიშის დამჭერიდან ამოღებული შლამი გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმიანობის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5, C6-C10, C12-C19), ამილენი, ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილენ-ბენზოლი, ქსილოლი, გოგირდწყალბადი. გზშ-ის ანგარიშში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 13 წყარო, როგორებიცაა საწვავის რეზერვუარები, საწვავის მიღება-გაცემის და სატუმბი სადგურები, ასევე საწვავი გასაცემი ესტაკადა. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (109 მ) მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება ძირითადად მოსალოდნელია საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისას და ტექნოლოგიურ პროცესის (საწვავის მიღება-გაცემა) დროს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიაზე საწარმოს მუშაობისას ხმაურის მაქსიმალური დონე საწარმოს პერიმეტრზე შეადგენს 34 დბა-ს. გზშ-ის ანგარიშში მოცემული შესაბამისი შეფასების მიხედვით, საწარმო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს ახლომდებარე მოსახლეობასთან და საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ამასთან, საწარმო განთავსებულია ქალაქის სამრეწველო ზონაში. დოკუმენტის მიხედვით, ანალოგიური დანიშნულების ობიექტი 500 მეტრიანი რადიუსის საზღვრებში არ არის განლაგებული, შესაბამისად პროექტის განხორციელების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. განხილულია არაქმედების ალტერნატივა და ტექნოლოგიური ალტერნატივები. დოკუმენტაციის თანახმად, არაქმედების ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში, არ არის მოსალოდნელი არსებულ გარემოზე ზემოქმედების ცვლილება. არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა დაგეგმილი წარმოებით მოსალოდნელი დადებითი ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ეხება არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და აღნიშნული არ გულისხმობს ახალი ტერიტორიების ათვისებას, ალტერნატიულ ვარიანტად დოკუმენტში განხილულია მხოლოდ არსებული ტერიტორია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია

ასევე განთავსდა სამგორის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა ასევე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 14 ივნისს 12:00 საათზე, სამგორის რაიონის გამგეობის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სამგორის რაიონის გამგეობის, შპს „Lion“-ის წარმომადგენლები და გზშ-ის ანგარიშის შემდგენელი პირი. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან შენიშვნები/მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით არ გამოთქმულა, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები არ წარმოდგენილა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, შპს „Lion“-ის 9300 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „Lion“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „Lion“-მა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „Lion“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და ხმაურის მონიტორინგის კონკრეტული გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის, ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ასევე ხმაურის მონიტორინგი უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

6. შპს „Lion“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
7. შპს „Lion“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განხორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
8. შპს „Lion“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე საკანალიზაციოს სისტემის მფლობელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა;
9. შპს „Lion“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვა;
10. შპს „Lion“-მა საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
11. შპს „Lion“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
12. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „Lion“-ს;
13. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „Lion“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
15. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო